ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური

საბჭოს მიერ, ოქმი №04, 30.04.2019წ.

რექტორი, პროფესორი ——— მარინა ფირცხალავა

აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემა

1. უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა ფასდება წელიწადში ერთხელ, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
2. აკადემიური/აფილირებული პერსონალი ვალდებულია სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში სამეცნიერო აქტივობის შესახებ, დანართის შესაბამისად.
3. უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა ფასდება სულ 100 ქულით (ყველა აქტივობა) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალის მოტივაციისათვის, სამეცნიერო საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობისათვის დგინდება წახალისების სისტემა:

ა) 71-100 ქულა - გაიცემა პრემია - 2000 ლარი

ბ) 41-70 ქულა - გაიცემა პრემია - 1000 ლარი

დ) 30-40 ქულა - გაიცემა პრემია - 500 ლარი

4. აკადემიური/აფილირებული პერსონალის წლიური სამეცნიერო აქტივობის შესახებ ანგარიშს ამზადებს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს განსახილველად. წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პრემიის გაცემის შესახებ. პრემიები გაიცემა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევების ფონდიდან.
5. აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების კრიტერიუმები:

აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების კრიტერიუმები	**ქულა**
გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი	*10*
გამოცემული კრებულის (რომელიც მითითებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის) ერთ-ერთი თავის ავტორი	*5*
გამოქვეყნებული მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი	*10*
სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში	*10*

პუბლიკაციები რეფერირებად (peer-reviewed) და საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში/საერთაშორისო კრებულებში (ელექტრონული ჟურნალების/კრებულების ჩათვლით)	*6*
მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოში	*6*
მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე საზღვარგარეთ	*8*
სამეცნიერო გრანტის მოპოვება	*15*
საერთაშორისო მობილობაში/გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა	*10*
სამეცნირო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	*15*
სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტის ხელმძღვანელობა	*5*
სულ	*100*

6. უნივერსიტეტი სამეცნიერო კვლევების ფონდიდან უზრუნველყოფს წელიწადში ერთხელ დაუფინანსოს აფილირებულ პერსონალს: საერთაშორისო აკრედიტებულ კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის სტატუსით) და სტატიის გამოქვეყნება, სახელმძღვანელოს ბეჭდვა, ტრენინგების ჩატარება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვარტალში ერთხელ საერთაშორისო რეცენზირებად, რეფერირებად სამეცნიერო შრომათა კრებულის გამოცემას (მედიცინის და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. ISSN 1512-4169), სადაც აკადემიური/აფილირებული პერსონალისთვის სტატიის განთავსება უფასოა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.

საავტორო უფლებები გამოქვეყნებულ ნაშრომზე რჩება შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს აფილირებული პერსონალის შემთხვევაში.

სახელი, გვარი :

აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების კრიტერიუმები	განხორციელებული აქტივობის აღწერა (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი	
გამოცემული კრებულის (რომელიც მითითებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის) ერთ-ერთი თავის ავტორი	
გამოქვეყნებული მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი	
სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში	
პუბლიკაციები რეფერირებად (peer-reviewed) და საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში/საერთაშორისო კრებულებში (ელექტრონული ჟურნალების/კრებულების ჩათვლით)	
მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოში	
მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე საზღვარგარეთ	
სამეცნიერო გრანტის მოპოვება	
საერთაშორისო მობილობაში/გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა	
სამეცნირო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	
სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტის ხელმძღვანელობა	